

## მოკლე ინფორმაცია

### გამგეობის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევნებთან დაკავშირებით

#### პატივცემულო დელეგატებო

ფედერაციის წესდებით განსაზღვრულია, რომ საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით აირჩევიან გამგეობის თავმჯდომარე (1) და გამგეობის წევრები (არაუმეტეს 9 წევრი, მათ შორის 1 თავმჯდომარე). არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პირთა რეგისტრაცია ხდება წინასწარი განცხადებების საფუძველზე. არჩევნებში კანდიდატად დარეგისტრირების მსურველ პირებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები არჩევის შემთხვევაში, გამგეობაში მათი საქმიანობის შესახებ.

ფედერაციის წევრებს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო 2021 წლის 26 მაისს და დასრულდა 2021 წლის 5 ივნისს. გამგეობის წევრობაზე არჩევნებში მონაწილეობის კანდიდატად დარეგისტრირდა - პირი, მათ შორის 1 განაცხადია გამგეობის თავმჯდომარეობაზე.

შესაძლებლობა გაქვთ, გაეცნოთ ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარეობისა და გამგეობის წევრობის კანდიდატებსა და მათ სამოტივაციო წერილებს.

## ელგუჯა აფრიდონიძე

### გამგეობის თავმჯდომარეობის კანდიდატი

მკირფასო კოლეგებო, მინდა გამოვხატო მადლიერება იმ ნდობისათვის, რომელიც წინა საარჩევნო კრებაზე გამომიცხადეთ და შესაძლებლობა მომეცა საარჩევნო პერიოდში თქვენთან ერთად, მემუშავა ჩვენი ფედერაციის შემდგომი განვითარებისათვის.

წინა საარჩევნო პერიოდი თავისებურად მნიშვნელოვან გამოწვევებს განიცდიდა. ახალი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო ფედერაციის როლისა და კომპეტენციების დამკვიდრებითა, სტრუქტურულ ჩამოყალიბება, მსოფლიო პანდემიის ფონზე პროფესიის სტაბილურობისა და სამომავლო განვითარების გზების ძიება და სხვა. ამ გამოწვევებზე ჩვენ ერთად ვიმუშავეთ და ვთვლი, რომ გარკვეულად გავართვით თავი.

მომავალი საარჩევნო პერიოდი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და განსხვავებული გამოწვევების პერიოდად მესახება, რადგან მოითხოვს ორგანიზაციის სისტემური მუშაობის და მართვის სტილის თანამედროვე ცვლილებებზე მორგებას.

ვაცნობიერებ რა ფედერაციის წინაშე მდგარ ამოცანებს, მიმაჩნია, რომ ჩემი ცოდნა და პროფესიული გამოცდილება სასარგებლო იქნება იმ გამოწვევების დასაძლევად, რომელიც დგას ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანესი პროფესიის განვითარებისათვის.

#### პატივცემულო დელეგატებო,

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, გადავწყვიტე კიდევ ერთხელ ვიყარო კენჭი, როგორც ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატმა. არჩევის შემთხვევაში, ჩემს გამოცდილებას და ყველა რესურს გამოვიყენებ იმისათვის, რომ ჩემი წვლილი შევიტანო ფედერაციის და ზოგადად, პროფესიის შემდგომი განვითარების საქმეში.

მოკლედ მოგახსენებთ ჩემს პროფესიულ გამოცდილებას:

**განათლება: 1972-1978 წწ.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი, სპეციალობა – საბუღალტრო აღრიცხვა მრეწველობაში.

## სამუშაო გამოცდილება:

- 2005 წლის ნოემბერი – 2012 წლის 31 დეკემბერი – საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

- 1996 წლის მაისი – 2005 წლის ოქტომბერი – საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

- 1996 წლის თებერვალი-მაისი – ქ. თბილისის ვაკის რაიონის საგადასახადო ინსპექცია;

- 1993-1995 წწ. შპს „ქსელმშენი“, მთ.ბუღალტერი;

- 1981-1993 წწ. ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“, მთავარი ბუღალტერი;

- 1978-1983 წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობის ბუღალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის კათედრა, მოწვეული სპეციალისტი;

- 1978-1981 წწ. ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ #54 მექანიზირებული კოლონა, ეკონომისტი;

ელგუჯა აფრიდონიძე

## იური პაპასქუა

### განცხადება

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევნებში კანდიდატად. სურვილი მაქვს ვიმუშაო განათლების კომიტეტში.

ვარ ამ ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, წევრი და აღმასრულებელი დირექტორი. ვიყავი ფედერაციის გამგეობის წევრი და ვმუშაობდი განათლების კომიტეტში.

ჩემი პროფესია და საქმიანობა დაკავშირებულია ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტურ საქმიანობასთან. ვარ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასწავლი სამეწარმეო სამართალს, მიმყავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კურსი.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში რეფორმის პროცესში აქტიურად ჩართული ვარ ჯერ კიდევ 2010 წლიდან. მიმაჩნია, რომ ამ პროცესზე მოვახდინე დადებითი გავლენა. რეფორმის პროცესი გრძელდება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებია მისაღები, მათ შორის, მოქმედი კანონის ახალი პროექტის რედაქციაზე, ზედამხედველობის სტატუსის განსაზღვრასა და პროფესიული ორგანიზაციის როლის ასამაღლებლად. აღნიშნული მიქმნის მოტივაციას ვიყო პროფესიაში და შემემლოს შიგნიდან აქტიურად ვიმოქმედო.

გამოცდილება, სტატუსი და აქტიურობა, რაც მახასიათებს, ვფიქრობ, გამოსაყენებელია და წაადგება პროფესიის განვითარებას.

იური პაპასქუა

# სულიკო ფუტკარაძე

## განცხადება

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევნებში კანდიდატად. სურვილი მაქვს ვიმუშაო საგადასახადო კომიტეტში.

ვარ ამ ფედერაციის წევრი და ამავე ფედერაციის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე. ვიყავი ფედერაციის გამგეობის წევრი და ვმუშაობდი საგადასახადო კომიტეტში.

ჩემი პროფესია და საქმიანობა დაკავშირებულია ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტურ საქმიანობასთან. ვარ ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი. ვარ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატში ვასწავლი ბიზნეს სამართალს და საგადასახადო საქმის კურსს, მაგისტრატურაში კი საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების კურსს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალში ვასწავლი საგადასახადო საქმის კურსს. ბათუმის საფინანსო სკოლა „სტორნოში“ ვკითხულობ საგადასახადო საქმის სალექციო კურსს.

განათლებით ვარ ეკონომისტი. ჩართული ვარ სერტიფიცირებულ აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-716973, სერთიფიკატი - ზ N 6/233. 2010 წლიდან ვარ ფედერაციის წევრი, აღნიშნული დროიდან აქტიურად ვარ ჩართული საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში რეფორმის პროცესში. მიმაჩნია, რომ ამ პროცესში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე და მოვახდინე გარკვეული გავლენაც. იმის გათვალისწინებით რომ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში რეფორმის პროცესი გრძელდება და გარკვეული გადაწყვეტილებები კვლავაც მისაღებია, მოქმედი კანონის ახალი რედაქციაზე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სტატუსის განსაზღვრასა და ყოველივე აღნიშნულსი კი პროფესიული ორგანიზაციის როლის გაზრდაზე. ყოველივე ეს კი მიქმნის მოტივაციას რომ, აქტიურად ვიყო პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობაში აქტიურად ცართული, რათა შემემდლოს ორგანიზაციის შიგნიდან აქტიურად

ვფიქრობ ჩემი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება და აქტიურობა, გამოსაყენებელია და აქტიურად წაადგება ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში პროფესიის შემდგომ განვითარებას.

სულიკო ფუტკარაძე

# ოთარ ახოზაძე

## განცხადება

გხოვთ დამარეგისტრიროთ კანდიდატად საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევნებში. მოკლე ინფორმაცია პროფესიული უნარჩვევების შესახებ:

**2015-2016 წწ.** აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე განათლება:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ეკონომისტი (მაკროეკონომიკა);
- **2000 წ.** აშშ-ში ქ. ცინცინატი ბიზნესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალური კურსები.

სამუშაო გამოცდილება:

- 2005 წლიდან დღემდე შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგოს“ დირექტორი/აუდიტორი;
- სერტიფიკატები: ზ №5/331 – აუდიტორის კვალიფიკაცია ზოგად აუდიტში.

მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე ვთვლი, რომ შემძლია წვლილი შევიტანო ორგანიზაციის წარმატებასა და პროფესიის განვითარებაში

ოთარ ახოზაძე

## ალექსანდრე ოქრომჭედოშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი

დაბადებული 1955 წლის 20 ნოემბერს, ცოლშვილიანი, ეკონომისტი, პროფესიონალი ბუღალტერი/აუდიტორი.

მიმართვა აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (აბფმფ) ყრილობას

კოლეგებო,

მივიღე გადაწყვეტილება კენჭი ვიყარო აბფმფ გამგეობის წევრად.

ვარ აბფმფ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ჩემი შესაძლებლობის მნიშვნელოვან ნაწილს, დიდ და რეზერვებს წლების განმავლობაში, ფედერაციის განვითარებას და პოპულარიზაციას ვუთმობდი. კერძოდ, ვიყავი გამგეობის წევრი და ვმონაწილეობდი აბფმფ-ს მართვის სფეროში, ვასრულებდი ხარისხის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას, ვეწეოდი წევრების საკონსულტაციო მომსახურებას.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მიმართულებებით საქმიანობის პერიოდში დაგროვდა ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ.

ვთვლი, რომ გამგეობაში არჩევის შემთხვევაში, ჩემი მრავალწლიანი ცოდნა და გამოცდილება, მომცემს საშუალებას დავეხმარო პროფესიას დღეს არსებული გამოწვევების დაძლევისა და სამომავლო განვითარების ტენდენციების განსაზღვრასა და განხორციელებაში.

**ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი**

## თეიმურაზ ცერცვაძე

### განცხადება

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევნებში კანდიდატად. სურვილი მაქვს აქტიური საქმიანობა განვახორციელო საგადასახადო კომიტეტში.

ვარ ამ ფედერაციის წევრი . ვიყავი ფედერაციის გამგეობის წევრი და ვმუშაობდი საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარედ.

მოკლედ მოგახსენებთ ჩემს პროფესიულ გამოცდილებას:

დაბადების თარიღი: 02.07.1971 წ;  
დაბადების ადგილი: ქ. ზესტაფონი;  
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული.

**განათლება და კვალიფიკაცია:**

- 1988-1993 წ. თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტი, ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში (წარჩინებით);

- 1993 – 1998 წ. თსუ ასპირანტურა – სამრეწველო წარმოების ეკონომიკა (წარჩინებით);

- 1999 – 2002 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკ. პ. გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ – ჰუმანიტარული ინსტიტუტი. იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობა, ინჟინერ – ეკონომისტი, სამართალმცოდნე

### სამუშაო გამოცდილება:

- დღემდე – აუდიტორული კომპანია „ბაფი აუდიტ სერვის“ – მმართველი პარტნიორი, გენერალური დირექტორი;
  - დღემდე – შპს „ფინანსური მართვის კომპანია“ – დირექტორი.
  - 09/1993-02/2002 წწ. ზესტაფონის რაიონის საგადასახადო ინსპექციის განყოფილების ინსპექტორი; კონტროლის განყოფილების უფროსი; საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი, სასამართლოებში საჩივრების განხილვის სამმართველო; ზესტაფონის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური:
- 06/2008 – 2013 წწ. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; აუდიტის განვითარების სამმართველოს უფროსი; ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, პროფესიული განვითარების სამმართველოს უფროსი.

პატივისცემით,  
თეიმურაზ ცერცვაძე

## ლევან ჯანგულაშვილი

### განცხადება

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევნებში კანდიდატად. სურვილი მაქვს ვიმუშაო განათლების კომიტეტში.

**საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის ძვირფასო წევრებო!**

გასული წლები მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოირჩეოდა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების გამო, რაც მნიშვნელოვნად დადებითად აისახა ჩვენს პროფესიაში.

ააიპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია“ ახალი ინიციატივებით გამომოდოდა, რათა მნიშვნელოვანი ცვლილებები შესულიყო საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში, რომელიც დადებითად აისახებოდა პროფესიული ორგანიზაციებისა თუ პროფესიული საქმიანობით დაკავებული კომპანიების და ფიზიკური პირების მიმართ.

აღნიშნული გარდამავალი პერიოდი რთული აღმოჩნდა ქართული აუდიტორული კომპანიებისთვის ხარისხის კონტროლის მიმართულებით, რამაც შესაბამისად წარმოქმნა არათანაბარი პირობები ქართული და უცხოური აუდიტორული კომპანიებს შორის, თუმცა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია ცოდნის გაზიარება სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ააიპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა

პროფესიული ფედერაცია“, რომელიც პროფესიული სტანდარტების სწორად აღქმისთვის და განვითარებისთვის ხშირად ატარებს განგრძობით სწავლებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობა აქამდეც და შემდგომშიც ააიპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციაში“ გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაშიც, კვლავ მიმართული იქნება პროფესიის განვითარებისაკენ, რომ არ იქნეს დარღვეული საერთაშორისოდ აღიარებული აუდიტის სტანდარტები.

## ლევან ჯანგულაშვილი

# მეგი აჯიაშვილი

გამგეობის წევრობის კანდიდატი.

ბატონებო,

როგორც მოგეხსენებათ, 2021 წლის 19 ივნისს დანიშნულია საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის ყრილობა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად გამოტანილია გამგეობის წევრთა არჩევა.

წინამდებარე მომართვით კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო დიდი პატივისცემა და სრული მხარდაჭერა ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების მიმართ, ხოლო შემდეგ ყრილობის დელეგატებს წარვუდგინო თავი, როგორც გამგეობის წევრობის კანდიდატმა:

1996 წელს საქართველოს პარლამენტთან არსებულმა აუდიტორთა საბჭომ მომანიჭა სერტიფიკატი ზოგად აუდიტში.

2011 წლის 8 დეკემბერს მონაწილეობა მივიღე საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის დაფუძნებაში. ამავე დროს არჩეული ვიყავი ფედერაციის გამგეობის წევრად, რომელ ფუნქციას ვასრულებ დღემდე.

2012 წელს ICFM-ის მიერ მომენიჭა ტიტულის სტატუსი ფინანსურ მენეჯმენტსა და ფინანსურ ანალიზში.

ფედერაციის გამგეობის წევრად ყოფნის ათწლიან პერიოდში ძალისხმევა არ დამიშურებია აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ინტერესების დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებებში, შეეხებოდა ეს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას თუ მათი საქმიანობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას.

დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია გავაგრძელო აქტიური მუშაობა ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების შესრულების გზაზე.

იმედს გამოვთქვამ, 19 ივნისის ყრილობა მხარს დამიჭერს გავხდე საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის წევრი.

მეგი აჯიაშვილი

